ქ.თბილისში, ონიაშვილის ქ.№47-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით, მის მომიჯნავედ მდებარე (ონიაშვილის ქ.№49) 2 სართულიანი საცხოვრებელი სახლის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ტექნიკური

დასკვნა

ქ.თბილისი

30 ოქტომბერი 2014წ.

პროექტის არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტების კორექტირების, რაც გამოიხატება არსებული კონსოლური აივნების ზომების მცირედი შეცვლით, განხილულ იქნა პროექტში მიღებული საპროექტო-კონსტრუქციული გადაწყვეტები, მის მომიჯნავედ, მთავარი ფასადის მხარეს განთავსებულ ონიაშვილის ქ.№49-ში მდებარე ორ სართულიან არსებულ საცხოვრებელი სახლის ტექნიკურ მდგომარეობაზე ზეგავლენის თვალსაზრისით.

ონიაშვილის ქ.№47-ში მდებარე მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს 7 სართულიან კარკასული ტიპის უსარდაფო ნაგებობას. იგი უშუალოდ ემიჯნება მთავარი ფასადის მარცხენა მხარეს განთავსებულ (ონიაშვილის ქ.№49) ორ სართულიან საცხოვრებელ სახლს.

საპროექტო შენობის მშენებლობის დაწყებამდე, კერძოდ ქვაბულის დამუშავებამდე, დასკვნა-რეკომენდაციებითა და ასევე კონსტრუქციული გადაწყვეტებით განსაზღვრული იყო მომიჯნავე ორ სართულიანი შენობის მზიდი კედლის გასწვრივ (კედელი უშუალოდ ემიჯნება საპროექტო მიწის ნაკვეთს) მოწყობილიყო მონოლითური რკ.ბეტონის ე.წ. შპუნტური კედელი, რომელიც ჩაანკერებულია ძირითად ფუძე-კუმშვად ქანებში ნაბურღ-ინიექციური ხიმინჯებით.

ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით, ასევე წარმოდგენილი ფარული სამუშაოების აქტებით დგინდება, რომ დასკვნა-რეკომენდაციებითა და კონსტრუქციული გადაწყვეტებით განსაზღვრული მონოლითური რკ.ბეტონის ე.წ. შპუნტური კედელი ხიმინჯოვანი დასაძირკვლებით რეალურად შესრულებულია, კერძოდ მოეწყო 30 ცალი ნაბურღ-ინიექციური ხიმინჯი დიამეტრით d=130მმ, რომლებიც ჩაანკერდა ქვიშაქვებისა და არგელიტების სუსტად გამოფიტულ შრეობრივ მორიგეობაში, მასში შეჭრით 50-100 სმ-ით. შემდგომში მოხდა აღნიშნული ხიმინჯების გაერთიანება მონოლითური რკ.ბეტონის შპუნტური კედლით სისქით 30 სმ, რომელიც შესრულდა ეტაპობრივად ზემოდან ქვემოთ მიმართულ მონაზომებად. კედელი მოეწყო საპროექტო შენობის ქვაბულის ძირის დონემდე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მშენებარე საცხოვრებელ სახლსა და მის მომიჯნავედ (ონიაშვილის ქ.№49) მდებარე ორ სართულიან საცხოვრებელ სახლს შორის ე.წ. შპუნტური კედელი შესრულებულია დასკვნა-რეკომენდაციებისა და კონსტრუქციული გადაწყვეტების საფუძველზე და ამდენად არ მოახდენს უარყოფით ზეგავლენას მის ტექნიკურ მდგომარეობაზე.

ინჟინერ-კონსტრუქტორი */ს. ყორკოტაშვილი/*

მობ.ტელ. 599 18 86 52

ელ.ფოსტა. **korkotashvili.sandro@yahoo.com**

